სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 02

2017 წ. "02" 02

ქ.თბილისი

შპს გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2017 წლის 2 თებერვალს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის სააპელაციო საჩივარი (რეგისტრაციის №92457) რომელიც ეხება „შპს გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის №122 გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 26^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნეს შპს გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის №92457 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
აპოლონ სილაგაძე